



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №58, ტელ.: +995 599 18 24 25
ელ. ფოსტა: info.cageri@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

N 2-12
29/01/2018

12-07-4-201801291159



„ცაგერის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ“


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის N76 დადგენილების შესრულების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეიქმნას შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:
 - დავით გვიშიანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარე.
 - დავით ჩაკვეტაძე - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
 - მარიკა კოპალიანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - საბჭოს წევრი(მოწვევით)
 - მამუკა ლეთოდიანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.
 - სოფიო გვიშიანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.
 - გიორგი კვირიკაშვილი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.
 - თამარ დავითულიანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - საბჭოს წევრი.

- იამზე ბურჯალიანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების უფროსი - საბჭოს წევრი.
 - ავთანდილ ევაძე - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი - საბჭოს წევრი.
 - ჯონი ხალიანი - სოციალური მომსახურების სააგენტოს ცაგერის რაიონული განყოფილების უფროსი - საბჭოს წევრი (მოწვევით)
 - მამუკა ჩიქოვანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ახალგაზრდობის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრის“ დირექტორი - საბჭოს წევრი.
 - მარინე სვანიძე - ცაგერის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრის“ დირექტორი - საბჭოს წევრი.
 - თემური კოპალიანი - შშმ პირთა წარმომადგენელი.
2. ყოველი კონკრეტული საკითხის განხილვისას, საბჭოს სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღონ მერის წარმომადგენლებმა ადმინისტრაციულ ერთეულებში.
 3. საბჭოს მდივნის მოვალეობა დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსს სპეციალისტს მაია გუგავას.
 4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ცაგერის მუნიციპალიტეტში შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 5 თებერვლის N2-056 ბრძანება.
 5. საკოორდინაციო საბჭომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარმოადგინოს 2018 წელს გასატარებელ ღონისძიებათა გეგმა.
 6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
 7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს არსებული წესით ცაგერის რაიონულ სასამართლოში/ ასათიანის ქ. N14/.

ავთანდილ უგრეხელიძე



მუნიციპალიტეტის მერი